# იესო ქრისტეს სახარების
# აღდგენა





## ღმერთი არის სიყვარულით აღსავსე ზეციური მამა

ღმერთი არის თქვენ ი ზეციური მამა. ის გიცნობთ პირადად და უყვარხართ იმაზე მეტად ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. მას უნდა, რომ იყოთ ბედნიერი, ამ ცხოვრებაში და სამარადისოდ.

ამ მიზნის მისაღწევად, მამაზეციერმა მოგვცა გეგმა, რომელსაც ჰქვია, იესო ქრისტეს სახარება*. იესო ქრისტე არის ღმერთის ძე, მისი ცხოვრება და სწავლებები არის გზა მშვიდობისაკენ და სიხარულისაკენ, ამ ცხოვრებაში და სამარადისოდ.

*ჩვენმა სიყვარულით აღსავსე მამაზეციერმა დაგვიბრუნა—აღდგენილი—ჭეშმარიტებები, რომლებიც შეგიძლიათ შეისწავლოთ და იცხოვროთ მათი მიხედვით. ეს ჭეშმარიტებები, წინასწარმეტყველებმა მიიღეს დასაბამიდანვე.*

## სახარება არის კურთხევა, ოჯახებისათვის და მარტოხელა ადამიანებისთვის

იესო ქრისტეს სახარება, არის კურთხევა, მათთვის ვინც მას მიიღებს. ყველაზე საუკეთესო ადგილი, სადაც ისწავლება და გამოიყენება სახარება არის ოჯახები. ღმერთმა ჩამოაყალიბა ოჯახები, იმისათვის რომ მოუტანოს ბედნიერება მის შვილებს, რომ ჩვენ შევძლოთ სწორი პრინციპების შესწავლა სიყვარულით აღსავსე გარემოში და შევძლოთ უკან დაბრუნება მასთან, ჩვენი გარდაცვალების შემდეგ. თუმცა ოჯახური ურთიერთობები შეიძლება წინაღობებით იყოს სავსე, მაგრამ მამაზეციერი დაგვლოცავს ჩვენს ძალისხმევაში, იესო ქრისტეს მოძღვრების მიხედვით ცხოვრებისათვის. ეს მოძღვრებები გვეხმარებიან ჩვენი ოჯახების განმტკიცებაში.

## მამაზეციერი გვამლევს მის სახარებას

მისი გეგმის მიხედვით, ღმერთი ირჩევს წინასწარმეტყველებს, როგორებიც არიან ადამი, ნოე, აბრაამი და მოსე. წინასწარმეტყველები:

- ასწავლიან ღმერთის შესახებ და არიან მისი ძის, იესო ქრისტეს, განსაკუთრებული მოწმეები.
- უფალისგან იღებენ გამოცხადებებს, ან მითითებებს.
- მსოფლიოს ასწავლიან სახარებას და განუმარტავენ უფალის სიტყვას.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია გვერდებზე 18 და 19

*იესო ქრისტეს სახარებას შეუძლია განამტკიცოს თქვენი ოჯახი.*

წინასწარმეტყველები იღებენ მღვდლობას, ან უფლებამოსილებას, იმისათვის, რათა იქადაგონ, იმოქმედონ ღმერთის სახელით და წინ გაუძღვნენ ღმერთის შვილებს. ადამიანები, რომლებიც მიჰყვებიან წინასწარმეტყველებს, იღებენ ღმერთისაგან დაპირებულ კურთხევებს. ისინი, ვინც უარყოფენ სახარებას და ღმერთის წინასწარმეტყველებს, კარგავენ ამ კურთხევებს და შორდებიან ღმერთს. განდგომა ეწოდება იმ ადამიანების მდგომარეობას, რომლებიც უარყოფენ წინასწარმეტყველებს და არ მიჰყვებიან ღმერთს, მათ მიერ აღებულ ვალდებულებების შესაბამისად.

*ღმერთისაგან გამოცხადებული ჭეშმარიტებები იკარგება, როდესაც ადამიანები უარყოფენ წინასწარმეტყველებს.*

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მისი შვილი, კვლავ და კვლავ უარყოფდა მას და მის წინასწარმეტყველებს, მამაზეციერს, მაინც უყვარს თავისი შვილები. მას უნდა, რომ მოგვცეს, ყველაფერი, რაც გვჭირდება ბედნიერებისათვის დღეს, რათა გარდაცვალების შემდეგ, დავუბრუნდეთ მას. წმინდა წერილები გვასწავლიან, რომ ღმერთი ყოველთვის ცდილობდა მიეწვდინა ხმა მისი შვილებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის არ ვუსმენდით მას.

- ღმერთი ირჩევს წინასწარმეტყველს.
- წინასწარმეტყველი ასწავლის სახარებას და წინ უძღვება ადამიანებს.
- ღმერთი აკურთხებს ადამიანებს.
- ადამიანები ნელნელა უგულვებელყოფენ და არ ემორჩილებიან წინასწარმეტყველის სწავლებებს. საბოლოო ჯამში მათ უარყოფენ წინასწარმეტყველს და მის სწავლებებს, რის შემდეგად ისინი გახდებიან განდგომილები.
- განდგომის შედეგად, ადამიანები კარგავენ ცოდნას სახარებაზე და მათ ერთმევათ მღვდლობის უფლებამოსილება.
- როდესაც დგება საჭირო დრო და ადამიანები მზად არიან, რომ გაჰყვნენ ღმერთს, ის ირჩევს ახალ წინასწარმეტყველს, აღადგენს მღვდლობას, ეკლესიას და უბრძანებს წინასწარმეტყველს, რათა ასწავლოს სახარება.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია გვერდებზე 18 და 19.

*ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები იწერდნენ ღმერთის სიტყვას.*





## იესო ქრისტემ ჩამოაყალიბა მისი ეკლესია

შექმნის დღიდან, ღმერთის შვილები ელოდებოდნენ მხსნელის, იესო ქრისტეს მოსვლას. დანაპირებისამებრ, მამაზეციერმა მოავლინა მისი ძე, იესო ქრისტე, დედამიწას 2000 წლის წინ.

იესო ქრისტე ცხოვრობდა სრულყოფილი, უცოდველი ცხოვრებით. მან ჩამოაყალიბა მისი ეკლესია, იქადაგა მისი სახარება და მოახდინა მრავალი სასწაულები. მან ამოირჩია თორმეტი მამაკაცი, რომ ყოფილიყვნენ მისი მოციქულები, პეტრეს, იაკობის, და იოანეს ჩათვლით. ის მათ ასწავლიდა და უბოძა მღვდლობის უფლებამოსილება, რომ ექადაგათ მისი სახელით და ჩაეტარებინათ წმინდა საეკლესიო წესჩვეულებები, როგორიც არის ნათლობა.

როდესაც იესომ ჩამოაყალიბა მისი ეკლესია, მან მიიღო მითითებები მამაზეციერისაგან. შემდეგ მან გადასცა ეს მითითებები თავის მოწაფეებს. იესო ასწავლიდა მის მიმდევრებს, რომ ღმერთისაგან მიღებული გამოცხადება არის ის კლდე, რომელზეც ის ააშენებდა ეკლესიას.

მისი ცხოვრების ბოლოს, იესო დაიტანჯა და მოკვდა ყველა ადამიანების ცოდვებისათვის, ვინც მანამდე ცხოვრობდა ან იცხოვრებენ დედამიწაზე. ამ მსხვერპლშეწირვას ეწოდება გამოსყიდვა. მისი ტანჯვით, სიკვდილით და აღდგომით, მაცხოვარმა მოგვცა მიტევების შესაძლებლობა. ვისაც სწამს მისი, მოინანიებენ და დაიცავენ მის მცნებებს და მიეტევებათ ცოდვები, აღივსებიან მშვიდობით და სიხარულით.

*იესო ქრისტემ ჩამოაყალიბა მისი ეკლესია:*

- *მან მოუწოდა და ხელდასხმით აკურთხა მოციქულები.*
- *მან მისცა მათ უფლებამოსილება მისი სახელით ექადაგათ და ჩაეტარებინათ ნათლობა. ამ უფლებამოსილებას ჰქვია მღვდლობა.*
- *მისი სიკვდილის და აღდგომის შემდეგ, იგი ხელმძღვანელობდა მოციქულებს გამოცხადებებით.*

მისი აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტე მოციქულებს ასწავლიდა გამოცხადებებით. ბიბლიაში მრავალჯერ აღწერილია თუ როგორ ხელმძღვანელობდა ის თავის ეკლესიას (იხილეთსაქმეები 10; გამოცხადება 1:1). ამგვარად იესო ქრისტეს ეკლესია ხელმძღვანელობდა ღმერთი, და არა ადამიანები.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია გვერდებზე 18 და 19.

*იესომ, ხელდასხმით უბოძა მღვდლობა თავის მოციქულებს.*

## დიდი განდგომა

იესო ქრისტეს სიკვდილის შემდეგ, ბოროტი ადამიანებმა, ბევრი ეკლესიის წევრები განდევნეს და მოჰკლეს. დანარჩენი ეკლესიის წევრები დაშორდნენ იმ პრინციპებს, რომლებსაც ასწავლიდნენ იესო და მისი მოციქულები. მოციქულები მოჰკლეს ამიტომ დედამიწიდან წართმეული იქნა მღვდლობის უფლებამოსილებები, ასევე გასაღებები, რომლის მეშვეობით იმართებოდა ეკლესია და მიიღებოდა გამოცხადება. კეთილი ადამიანები და ჭეშმარიტების დიდი ნაწილი შენარჩუნებული იქნა, მაგრამ სახარება, რომელიც ჩამოაყალიბა იესო ქრისტემ დაიკარგა. ამ დროს ეწოდება დიდი განდგომა.

*იესო ქრისტეს მოციქულების სიკვდილთან ერთად, ჭეშმარიტება კვლავ დაიკარგა.*

ამ განდგომამ მოიტანა მრავალი ეკლესიების შექმნა, რომელთა სწავლებები ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ამ დროის განმავლობაში, მრავალი ადამიანები ეძებდნენ სიმართლეს, მაგრამ მათ არ ჰქონდათ მისი პოვნის საშუალება. მრავალ კეთილ ადამიანს სწამდა ღმერთის და იესო ქრისტესი და ცდილობდნენ ჭეშმარიტების გაგებას და სწავლებას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ მთლიანი სახარება და მღვდლობის უფლებამოსილება. ამის შედეგად, ყოველი თაობა მემკვიდრეობით იღებდა განდგომას, რადგან ადამიანები იყვნენ იმის გავლენის ქვეშ, რასაც მათ გადასცემდა წინა თაობა, ქრისტეს შეცვლილი სახარების ჩათვლით.

ზოგიერთი შთაგონებული ადამიანები, როგორც, მარტინ ლუთერი და ჯონ კალვინი, ხვდებოდნენ, რომ წესჩვეულებები და მოძღვრებები იყო დაკარგული და სახეშეცვლილი. მათ სცადეს, რომ შეეცვალათ ეკლესიები, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ მღვდლობის უფლებამოსილების გარეშე, შეუძლებელი იყო ქრისტეს სახარების დაბრუნება მის საწყის ფორმაში. საჭირო იყო აღდგენა.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია გვერდებზე 18 და 19.

*ღმერთმა იცოდა, რომ იქნებოდა განდგომის ხანა. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველით მან სთქვა:*

*„აჰა, დგება დღეები, ამბობს უფალი ღმერთი, როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას.*

*იხეტიალებენ ზღვიდან ზღვამდე და ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთამდე; მი-და-მოივლიან უფლის სიტყვის საძებნელად, მაგრამ ვერ ჰპოვებენ.“*

**ამოსი 8:11–12**



## სახარების აღდგენა

1820 წელს, მამაზეციერმა კვლავ ამოირჩია წინასწარმეტყველი, ისე როგორც მანამდე წარსულში გაუკეთებია, რათა აღედგინა სახარება და მღვდლობა დედამიწაზე. ამ წინასწარმეტყველის სახელი იყო იოსებ სმითი. მისი ახალგაზრდობისას, იოსები განიცდიდა დაბნეულობას იმ განსხვავებების გამო, რომელიც არსებობდა სხვადასხვა ეკლესიებს შორის და სურდა გაერკვია თუ რომელი ეკლესია იყო ჭეშმარიტი. მან იცოდა, რომ არ იყო განათლებული და მიყვა ბიბლიიდან მიღებულ რჩევას, „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს და მიეცემა“ (იაკობი 1:5).

იოსებ სმითმა გადაწყვიტა ეკითხა ღმერთისათვის, თუ რა უნდა გაეკეთებინა. როდესაც იოსები ლოცულობდა, რათა გაეგო ჭეშმარიტება, მამაზეციერი და იესო მას გამოეცხადნენ. იესომ უთხრა იოსებს რომ არ გამხდარიყო არც ერთი ეკლესიის წევრი, რადგან „არც ერთი მათგანი არ იყო მართალი“ და „ისინი მიახლოვდებიან ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან, ისინი ადამიანთა მცნებებს მოძღვრებასავით ასწავლიან, ღვთიურად მოაქვთ თავი ისინი კი უარყოფენ ღმერთის ძალას“ (იოსებ სმითი—ისტორია 1:19).

ისე, როგორც ღმერთმა მოუწოდა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს და სხვა წინასწარმეტყველებს, მან მოუწოდა იოსებ სმითს, რომ ყოფილიყო წინასწარმეტყველი, რომლის მეშვეობითაც სახარების მთლიანობა იქნა აღდგენილი.

*იოსებ სმითმა იხილა მამაზეციერი და იესო ქრისტე. ამის შესახებ მან სთქვა:*

*„მე დავინახე მზეზე უფრო კაშკაშა სინათლის სვეტი პირდაპირ ჩემი თავის ზევით, რომელიც თანდათანობით ეშვებოდა, სანამ ბოლოს მე არ დამეცა“. . . .*

*„როდესაც სინათლე მთლიანად მომეფინა, მე დავინახე ორი პიროვნება, რომლებიც იდგნენ ჰაერში ჩემს ზევით, რომელთა სიკაშკაშის და დიდების სიტყვებით აღწერა შეუძლებელია. ერთერთმა მათგანმა მომმართა სახელით, მიმითითა მეორეზე და სთქვა:*

ეს არის ჩემი საყვარელი ძე. მოუსმინე მას!”

იოსებ სმითი—ისტორია 1:16–17

*მამაზეციერი და იესო ქრისტე გამოეცხადნენ იოსებ სმითს, როგორც აღწერილია ფილმში* **აღდგენა**

## მღვდლობის აღდგენა

1829 წელს იოსებ სმითმა მიიღო იგივე მღვდლობის უფლებამოსილება, როგორიც იესო ქრისტემ მისცა თავის მოციქულებს. იოანე ნათლისმცემელმა, რომელმაც მონათლა იესო ქრისტე, გამოეცხადა იოსებს და მიანიჭა აარონის მღვდლობას, ან უფრო დაბალი სამღვდელო ხურის მღვდლობას. მოგვიანებით იოსებს გამოეცხადნენ, პეტრე, იაკობი და იოანე (ქრისტეს პირველდელი მოციქულები) და მიანიჭეს მას მელქიცედეკის მღვდლობა, ან უფრო მაღალ მღვდლობა.

იმის შემდეგ, როდესაც იოსებმა მიიღო მღვდლობის უფლებამოსილებები, მას მიეცა ბრძანება, რომ თავიდან ჩამოეყალიბებინა იესო ქრისტეს ეკლესია დედამიწაზე. მისი მეშვეობით იესო ქრისტემ კვლავ მოუწოდა თორმეტ მოციქულს.

*იესო ქრისტემ, გააგზავნა იოანე ნათლისმცემელი და თავისი სამი მოციქული, რომ მიეცათ იოსებ სმითისათვის მღვდლობის უფლებამოსილებები.*

ისე, როგორც იესო ქრისტე მიუძღვოდა თავის მოციქულებს, გამოცხადებებით, მისი აღდგომის შემდეგ, ის დღესაც აგრძელებს ეკლესიის მართვას ცოცხალი წინასწარმეტყველების და მოციქულების მეშვეობით. უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის პრეზიდენტი არის დღევანდელი ღმერთის მიერ რჩეული წინასწარმეტყველი. ის, მისი მრჩევლები და თორმეტი მოციქულები, ფლობენ მღვდლობის უფლებამოსილებებს, რომლებსაც ფლობდნენ წარსულის ყველა წინასწარმეტყველები და მოციქულები. ეს მამაკაცები არიან წინასწარმეტყველები, ნათელმხილველები და გამომ ცხადებლები.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია გვერდებზე 18 და 19

*პეტრემ, იაკობმა და იოანემ, იესო ქრისტეს მოციქულებმა მიანიჭეს იოსებ სმითს მელქიცედეკის მღვდლობა.*





## მორმონის წიგნი

როგორც სახარების აღდგენის ნაწილი, ღმერთმა მოგვცა მორმონის წიგნი: კიდევ ერთი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ. ღმერთის ძალით, იოსებ სმითმა ეს წიგნი გადათარგმნა, უძველესი ხელნაწერებიდან, რომლებიც იყო ამოკვეთილი ოქროს ფირფიტებზე. მორმონის წიგნში აღწერილია „ღმერთის ურთიერთობა, ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ ხალხებთან და მოიცავს მარადიული სახარების მთელი სისავსით“ (მორმონის წიგნის წარდგენის შესავალი).

*თუ წაიკითხავთ და ილოცებთ მორმონის წიგნის შესახებ, თქვენ გაიგებთ, არის თუ არა ჭეშმარიტება ის რასაც მისიონერები გასწავლიან:*

*„თუ თქვენ შეეკითხებით გულრწფელად, გულდასმით და იესო ქრისტეს რწმენით, ის სულიწმინდის ძალით, თქვენ გეტყვით ამაზე ჭეშმარიტებას.“*

*„და სულიწმინდის ძალით, თქვენ გაიგებთ ჭეშმარიტებას ყველაფერზე.“*

მორონი 10:4–5

მორმონის წიგნი არის ძლიერი დამოწმება იესო ქრისტეს შესახებ. ის გვეხმარება მისი სწავლებების აზრის გაგებაში, ბიბლიის ჩათვლით.

მორმონის წიგნი არის, იმის დამადასტურებელი მოწმობა, რომ სახარება აღდგენილ იქნა იოსებ სმითის მიერ. თქვენ თვითონაც შეგიძლიათ გაიგოთ არის თუ არა მორმონის წიგნი ჭეშმარიტი. იმისათვის, რომ მიიღოთ ეს ცოდნა, თქვენ უნდა წაიკითხოთ ის, დაფიქრდეთ მის შინაარსზე და მოისურვოთ ჭეშმარიტების გაგება მასზე. თქვენ უნდა შეეკითხოთ მამაზეციერს იმის დასადასტურებლად, რომ ეს არის მისი სიტყვა. როდესაც თქვენ ასე გააკეთებთ, ის სულიწმინდის მეშვეობით გეტყვით, რომ ეს არის ჭეშმარიტება.

როდესაც გაიგებთ, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტება, თქვენ სულიწმინდის ძალით ასევე გაიგებთ, რომ იოსებ სმითი იყო ღმერთის წინასწარმეტყველი, იესო ქრისტეს სახარება აღდგენილ იქნა მისი მეშვეობით და უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას ხელმძღვანელობენ დღევანდელი მოციქულები და წინასწარმეტყველი.

*წითლად აღნიშნული სიტყვების განმარტება მოცემულია გვერდებზე 18 და 19.

*იესო ქრისტეს სტუმრობა ამერიკაში, რომელიც აღწერილია მორმონის წიგნში.*

## როგორ შემიძლია გავიგო?

თქვენ გაიგებთ ამ მოწოდების ჭეშმარიტებას, თუ ლოცვის დროს, შეეკითხებით მამაზეციერს, და მისგან, სულიწმინდის ძალით მიიღებთ პასუხს. სულიწმინდას ასევე ეძახიან ღმერთის სულს და ერთერთი მისი დანიშნულებაა, რომ დაამოწმოს ჭეშმარიტება და იყოს მისი მოწმე.

მიღებული ცოდნა შეიძლება იყოს ცხოვრების სასწაულებრივი გარდაქმნის საწინდარი, მაგრამ როგორც წესი მას ვიღებთ, როგორც წყნარ დასტურს, ღმერთის ძალის სანახაობრივი დემონსტრაციის გარეშე. სულიწმინდა ჭეშმარიტებას დაგიმოწმებთ გრძნობებით, ფიქრებით და შთაბეჭდილებებით. ისე როგორც წერია ბიბლიაში, „ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე/ თავშეკავება,, (გალატელთა 5:22–23). სულიწმინდისგან ეს მიღებული გრძნობები არის თქვენთვის პირადი გამოცხადება, რომ იოსებ სმითის მიერ იესო ქრისტეს აღდგენილ სახარება არის ჭეშმარიტება. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ იცხოვრებთ თუ არა თქვენს მიღებული ცოდნის მიხედვით.

### როგორ უნდა ვილოცო?

- *მიმართეთ თქვენს მამაზეციერს.*
- *გამოხატეთ თქვენი გულის გრძნობები (მადლიერება, დაუსვით შეკითხვა მორმონის წიგნის ჭეშმარიტების შესახებ და იმაზე, რაც მისიონერებმა გასწავლეს).*
- *ლოცვა დაასრულეთ („იესო ქრისტეს სახელით, ამინ“).*

*თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ ჭეშმარიტება გულრწფელი ლოცვით.*



## ტერმინების სია

**აარონის მღვდლობა** დაბალი სამღვდლო მღვდლობა. ამ მღვდლობის უფლებამოსილებებით შეიძლება ადამიანების მონათვლა და ძველ აღთქმაში მოიხსნიება აარონის სახელით.

**განდგომა** როდესაც ეკლესია, პიროვნებები ან მთლიანად ერები, მიატოვებენ ან უარყოფენ იესო ქრისტეს სახარებას. განდგომას მოაქვს განცალკავება, დაბნეულობა, მღვდლობის უფლებამოსილებების და ღმერთის სახელით მოქმედების უფლების დაკარგვა.

**მოციქული** იესო ქრისტემ მისცა ეს წოდება თორმეტ მამაკაცს, რომლებიც მან აირჩია დედამიწაზე ქადაგებისას და რომლებსაც მისცა უფლებამოსილება ემოქმედათ მისი სახელით. თანამედროვე დროს, იესო ქრისტემ მოუწოდა სხვა ადამიანებს, რომ ყოფილიყვნენ მის სამსახურში მოციქულებად. ისე როგორც ძველ დროს, მოციქული არის იესო ქრისტეს განსაკუთრებული მოწმე და მისგან აქვს მიღებული უფლებამოსილებები.

**გამოსყიდვა** მოვლენა, რითაც მოგვეცა ღმერთთან შერიგების შესაძლებლობა. გამოსყიდვა ნიშნავს ცოდვის საზღაურად ტანჯვას, რითაც ცოდვილებს, რომლებიც ინანიებენ, შეუძლიათ განთავისუფლდნენ ცოდვის სასჯელისგან. იესო ქრისტე იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო სრულყოფილად გამოესყიდა მთელი კაცობრიობის ცოდვები. გამოსყიდვა მოიცავს ჩვენი ცოდვებისათვის მის მიერ ჯვარზე გადატანილ ტანჯვას, დაღვრილ სისხლს და აღდგომას. მისი გამოსყიდვის გამო, ყველა ადამიანი აღდგება, ვისაც ოდესმე უცოცხლია. გამოსყიდვა ასევე გვაძლევს, ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვების შენდობის გზას და მამაზეციერთან მარადიულად ყოფნის საშუალებას.

**ნათლობა** ნათლობა არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ცოდვების შენდობისკენ. სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ, მიღებული ნათლობით და წევრად დამტკიცებით, ჩვენ ვხდებით, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრები. წყალში ნათლობა, ნიშნავს როდესაც ადამიანი მთლიანად წყლით იფარება. ნათლობა ნიშნავს ჩვენს მზადყოფნას, რომ ვიაროთ ქრისტეს გზით და დავდოთ აღთქმები ღმერთთან.

**სახარება** მამაზეციერის გეგმა, რომელიც ჩვენ გვეხმარება, რომ გვქონდეს მშვიდობა ამ ცხოვრებაში და მარადიული ბედნიერება. სახარება ეფუძნება, იესო ქრისტეს გამოსყიდვას და ჩვენგან მოითხოვს, რომ ვიქონიოთ მასში რწმენა, მოვინანიოთ, მოვინათლოთ, მივიღოთ სულიწმინდა და ვიყოთ ბოლომდე ერთგულნი.

**სული წმინდა** ასევე მოიხსენიებენ, როგორც წმინდა სული, ღვთის სული და მანუგეშებელი. ის არის, მამაზეციერის და იესო ქრისტეს მოწმე, რომელიც გვასწავლის და გვეუბნება ჭეშმარიტებას.

**მელქიცედეკის მღვდლობა** მაღალი მღვდლობა. ბიბლიის ძველ აღთქმაში მოიხსენიება, როგორც მელქიცედეკის მღვდლობა, რომელიც იყო სამართლიანი, მღვდელთ მთავარი და მეფე.

**საეკლესიო წესჩვეულება** მღვდლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ჩატარებული სასულიერო საეკლესიო წესჩვეულება, მაგალითად ნათლობა.

**მღვდლობა** ღმერთის მიერ ნაბოძები უფლებამოსილება და ძალა. ღმერთი აძლევს კაცს ამ ძალას, რომ იმოქმედოს მისი სახელით. აარონის მღვდლობა, იყო აღდგენილი, იესოს ნათლისმცემლის, იოანეს მიერ, იოსებ სმითის მეშვეობით. მელქიცედეკის მღვდლობა აღდგენილი იქნა, იესოს თორმეტი მოციქულებიდან პეტრეს, იაკობის და იოანეს მიერ.

**აღდგენა** ნიშნავს რაიმეს აღდგენას, მის საწყის ფორმაში, განახლებულ ფორმით. როდესაც დედამიწაზე დაიკარგა ჭეშმარიტება და უფლებამოსილება, სახარება აღდგა წინასწარმეტყველი იოსებ სმიტის მეშვეობით. აღდგენა განსხვავდება რეფორმისგან, რადგან *რეფორმა* ნიშნავს არსებული ორგანიზაციის ან წესების შეცვლას მისი საწყისი ფორმაში დასაბრუნებლად, ხოლო *აღდგენა* ნიშნავს ორგანიზაციის და წესების თავიდან ჩამოყალიბებას, მის თავდაპირველ ფორმაში.

**აღდგომა** ფიზიკური სიკვდილის შემდეგ, სულის და სრულყოფილ ფიზიკური სხეულის, ხორცის და ძვლების ხელახალი ერთობა. იესო ქრისტე იყო პირველი ვინც აღდგა.

**გამოცხადება** ღმერთის და მისი შვილების ურთიერთობა, ხდება როგორც წესი სულიწმინდის მეშვეობით. ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ გამოცხადება, მათი ცხოვრებისათვის ხელმძღვანელობების მისაღებად, მაგრამ ღმერთის მიერ ამორჩეული წინასწარმეტყველი იღებს გამოცხადებას მთელი მსოფლიოსთვის. გამოცხადება მოდის სხვადასხვა ფორმებით, მაგრამ ყველაზე ხშირად მას ვიღებთ ფიქრებში, გრძნობებით და შთაბეჭდილებებით.

## დამატებითი სამეცადინო მასალა

ქვევით მოყვანილი კითხვები და წმინდა წერილები დაგეხმარებათ, ამ ბროშურაში მოცემული პრინციპების გააზრებაში და უფრო ღრმად შესწავლაში. სიაში მოყვანილი მასალები არ არის სრული, წმინდა წერილებში მოყვანილი შენიშვნები და მითითებები მოგცემთ დამატებით სასწავლო მასალას.

**რას ნიშნავს თქვენთვის, ის, რომ ღმერთი არის თქვენი მამაზეციერი?**

მალაქია 2:10 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

ებრაელთა 12:9–10 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

**რა არის წინასწარმეტყველის როლი? რატომ არის მნიშვნელოვანი იმის ცოდნა, რომ ღმერთი ესაუბრება წინასწარმეტყველს?**

ამოსი 3:7 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

იაკობი 4:4–6 (მორმონის წიგნი, გვერდი 124)

**რას ნიშნავს მღვდლობის უფლებამოსილების ფლობა? როგორ იღებს ამ უფლებამოსილებას ადამიანი?**

მათე 10:1 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

იოანე 15:16 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

**რა ხდება, როდესაც იკარგება ეს უფლებამოსილებები?**

ამოსი 8:11–12 (ბიბლია, ძველი აღთქმა)

1 ნეფი 13:24–29 (მორმონის წიგნი, გვერდები 25–26)

**იცოდნენ თუ არა იესოს მოციქულებმა განდგომის მოსვლის შესახებ?**

საქმეები 20:28–31 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

2 თესალონიკელთა 2:2–3 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

2 ტიმოთე 4:3–4 (ბიბლია, ახალი აღთქმა)

**რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ იესო ქრისტეს სახარება აღდგენილ იქნა იოსებ სმითის მეშვეობით?**

*წინასწარმეტყველი იოსებ სმითის დამოწმება* (ბროშურა)

**რა არის მორმონის წიგნი? როგორ მოწმობს ის იოსებ სმითის წინასწარმეტყველობას?**

მორმონის წიგნის სათაური

მორმონის წიგნის შესავალი

**რა არის სულიწმინდის როლი?**

ალმა 5:45–47 (მორმონის წიგნი, გვერდი 221)

მორონი 10:3–5 (მორმონის წიგნი, გვერდი 529)

## ეცით თაყვანი, ჩვენთან ერთად

### მოდით და ნახეთ თუ როგორ შეცვლის თქვენს ცხოვრებას აღდგენილი სახარება



ზიარების შეკრება არის ღმერთის თაყვანისაცემი მთავარი საეკლესიო სამსახური. როგორც წესი ის გრძელდება ერთ საათზე ცოტა მეტი და მიმდინარეობს შემდეგნაირად:

*საგალობლები:* საგალობლებს მღერიან ზიარებაზე დამსწრენი (საგალობლების წიგნები არის დარბაზში)

*ლოცვები:* ლოცვებს ამბობენ ადგილობრივი ეკლესიის წევრები.

*ზიარება:* იესო ქრისტეს გამოსყიდვის მოსახსენიებლად, პური და წყალი, კურთხევის შემდეგ ჩამოერიგებათ ზიარების დამსწრეებს.

*სიტყვით გამომსვლელები:* როგორც წესი, სამრევლოდან ერთი ან ორი ეკლესიის წევრი სიტყვით გამოდის სახარების თემაზე.

*ჩაცმულობა:* მამაკაცები და ბიჭები, უმთავრესად ჩაცმულები არიან შარვალ–კოსტუმში თეთრი პერანგით და ჰალსტუხით. ქალები და გოგოები ჩაცმულები არიან კაბებში.

ზიარების დროს შემოწირულობების შეწირვა არ მოითხოვება.

ჩვენ ასევე გეპატიჟებით, რომ დაესწროთ დამატებით შეკრებებს, თქვენი ინტერესების და ასაკის მიხედვით. ამ შეკრებების თანმიმდევრობა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი.

*საკვირაო სკოლა:* სამეცადინო კლასი, სადაც ტარდება წმინდა წერილების და სახარების მოძღვრებების შესწავლა.

*მღვდლობის შეკრებები:* სამეცადინო კლასი მამაკაცებისათვის და ბიჭებისთვის 12 წლიდან.

*მოწყალების საზოგადოება:* სამეცადინო კლასი ქალებისთვის და გოგოებისთვის 18 წელს ზევით.

*ახალგაზრდა ქალები:* სამეცადინო კლასი გოგონებისთვის 12 წლიდან 18 წლამდე.

*საბავშვო დამწყები კლასი:* ჯგუფები და სამეცადინო კლასი 3წლიდან 11 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ხშირად ხელმისაწვდომია საბავშვო ოთახი 18 თვიდან 3 წლამდე.



ზიარების შეკრების დრო:______________________________

ეკლესიის მისამართი________________________________

________________________________________________

# რა უნდა გააკეთო?




- წაიკითხეთ მორმონის წიგნი.
  წასაკითხი მასალა: ______________________________

  ______________________________

  ______________________________

  ______________________________

- ილოცეთ იმისათვის, რათა შეიცნოთ, იყო თუ არა იოსებ სმითი წინასწარმეტყველი და არის თუ არა მორმონის წიგნი ჭეშმარიტება.
- იარეთ ეკლესიაში.
- გადაწყვიტეთ, გაჰყვებით მხსნელს, ნათლისღების მიღებით.
  ნათლობის თარიღი:

  ______________________________

- ეწვიეთ ვებგვერდს www.mormon.org რათა გაიგოთ უფრო მეტი იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების შესახებ.
- გააგრძელეთ შეხვედრები მისიონერებთან, რათა გაიგოთ უფრო მეტი, იმ ჭეშმარიტებების შესახებ, რომლებიც ღმერთმა აღადგინა თანამედროვე წინასწარმეტყველების მეშვეობით.

  შემდეგი შეხვედრა: ______________________________

- მისიონერის სახელი და ტელეფონის ნომერი:

  ______________________________

  ______________________________

უკანასკნელი დღეების
წმინდანთა
იესო ქრისტეს
ეკლესია

www.mormon.org

**სურათების მონაცემები**
ყდაზე გამოსახულია: *დაკარგული ბატკანი,* Del Parson. © მხატვარი დელ პარსონი.
ასლის გადაღება არ შეიძლება.
გვერდი 5: დეტალი ჰარი ანდერსონის ნახატიდან *წინასწარმეტყველი ისაია წინასწარმეტყველებს იესოს დაბადებას.*
გვერდი 6: დეტალი ჰარი ანდერსონის ნახატიდან *ქრისტე აკურთხებს მოციქულებს.*
გვერდი 13: დეტალი კენეტ რილეის ნახატიდან *მელქიცედეკის მღვდლობის აღდგენა.*
გვერდი 14: დეტალი ჯონ სკოტის ნახატიდან *იესო ქრისტე ეწვია ამერიკას.*
გვერდები 17, 22, 23 ილუსტრირებულია Marina Lukach მიერ

© 2009 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.–ში.
ინგლისურად დამტკიცებულია: 1/06 თარგმანი დამტკიცებულია : 1/06.
თარგმანი The Restoration of the Gospel of Jesus Christ. Georgian. 01132 131

GEORGIAN
4 02011 32131 8
01132 131